

სტუდენტური თვითმმართველობის ეთიკის კოდექსი

პრეამბულა

ჩვენ, სტუდენტური თვითმმართველობის განვითარების კომისიის წევრები, ვათვიცნობიერებთ რა სტუდენტური თვითმმართველობის მიზანს უნივერსიტეტის მართვაში სტუდენტთა მონაწილეობის უზრუნველყოფას, სტუდენტთა უფლებების დაცვასა და სტუდენტური ცხოვრების მრავალფეროვნების ხელშეწყობას მივიჩნევთ რომ სტუდენტური თვითმმართველობა ხელს უწყობს ახალგაზრდებში დემოკრატიული კულტურის ამადლებას ორგანიზებულობისა და მიზანსწრაფულობის განვითარებას, სასწავლო და სამეცნიერო პროცესის წახალისებას.

სტუდენტური თვითმმართველობის მიზნის მისაღწევად ამოცანად ვისახავთ სტუდენტის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემასა და დაცვაზე ორიენტირებული სტუდენტური თვითმმართველობის სისტემის განვითარების ხელშეწყობას.

აღნიშნულის უზრუნველსაყოფად შევიმუშავეთ სტუდენტური თვითმმართველობის ეთიკის კოდექსი რომლის ამოქმედებასა და განხორციელებას **3** უზრუნველყოფთ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში.

თავი I ზოგადი დებულებები

მუხლი 1.

1. ეს კოდექსი განსაზღვრავს სტუდენტური თვითმმართველობისა და მათი წევრების ქცევის ზოგად წესებს, რომლებიც შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს საქართველოს კონსტიტუციასთან, საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებთან, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონთან და საქართველოს სტუდენტთა უფლებების დეკლარაციასთან.
2. ეს კოდექსი ეფუძნება სამართლიანობის, თანასწორობისა და თავისუფლების ძირითად პრინციპებს.

მუხლი 2.

1. სტუდენტური თვითმმართველობა წარმოადგენს საქართველოს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებულ სტუდენტთა წარმომადგენლობით ორგანოს, რომელიც შედგება ფარული კენჭისყრით, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი არჩევნების საფუძველზე არჩეული დელეგატებისა და მოწვეული წევრებისაგან;
2. სტუდენტური თვითმმართველობა თავისი დებულების შესაბამისად:
 - ა) უზრუნველყოფს სტუდენტთა მონაწილეობას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვაში;
 - ბ) ხელს უწყობს სტუდენტთა უფლებების დაცვას;
 - გ) ირჩევს წარმომადგენლებს ფაკულტეტის საბჭოში;
 - დ) უფლებამოსილია შეიმუშაოს წინადადებები ფაკულტეტის, ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის სისტემისა და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, რომელთაც წარუდგენს შესაბამისად: ფაკულტეტის საბჭოს, წარმომადგენლობით საბჭოსა და აკადემიურ საბჭოს;
 - ე) განახორციელებს დებულებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს;
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციას უფლება არა აქვს ჩაერიოს სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში.

თავი II
სტუდენტური თვითმმართველობის
საქმიანობის პრინციპები

მუხლი 3.

1. სტუდენტური თვითმმართველობის ყველა წევრი თანაბრად სარგებლობს საქართველოს კანონმდებლობით, უმაღლესი სასწავლებლის წესდებითა და თვითმმართველობის დებულებით მინიჭებული უფლებებით;
2. სტუდენტური თვითმმართველობის ყველა წევრმა საკუთარი უფლება - მოვალეობები უნდა შეასრულოს კეთილსინდისიერად;

მუხლი 4.

1. სტუდენტური თვითმმართველობები საკუთარი საქმიანობის წარმართვის დროს ეყრდნობიან შემდეგ ძირითად პრინციპებს:
 - ა) პატიოსნება - სტუდენტური თვითმმართველობის წევრები და წარმომადგენლები ასრულებენ დაკისრებულ ვალდებულებებს კეთილსინდისიერად და ეფექტურად. მათ არ უნდა მიიღონ მონაწილეობა იმ ტიპის ღონისძიებებში, რომლებიც მიმართულია უნივერსიტეტის, სტუდენტების, საუნივერსიტეტო საზოგადოებისა ან/და სტუდენტური თვითმმართველობის დისკრედიტაციისაკენ;
 - ბ) საჯაროობა - ინფორმაცია სტუდენტური თვითმმართველობის მისიის, სტრუქტურის, საქმიანობისა და ფინანსების შესახებ არის საჯარო, ხოლო ორგანიზაციის მუშაობა გამჭვირვალე;
 - გ) პასუხისმგებლობა - სტუდენტური თვითმმართველობის თითოეული წევრი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს თავის საქმიანობას როგორც უნივერსიტეტში, ასევე, უნივერსიტეტის გარეთ მესამე პირებთან ურთიერთობისას;
 - დ) თანასწორობა - სტუდენტური თვითმმართველობის წევრები აკადემიურ პროცესში სარგებლობენ თანაბარი უფლებებით სხვა სტუდენტებთან მიმართებაში;
 - ე) ურთიერთთანამშრომლობა - სტუდენტური თვითმმართველობის თითოეული წევრი მოქმედებს შეთანხმებულად, სტუდენტური თვითმმართველობის მიზნებისა და ინტერესების გათვალისწინებით.
2. ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი პრინციპების დაცვა ხელს უწყობს თვითმმართველობის, როგორც სტუდენტთა წარმომადგენლობითი ორგანოს, მთავარი მისიის შესრულებას - სტუდენტთა უფლებებისა და ინტერესების დაცვა, მათი ჩართულობა უნივერსიტეტის მართვის პროცესში.

მუხლი 5.

1. სტუდენტური თვითმმართველობა თავისი საქმიანობის განხორციელებისას ინარჩუნებს პარტიულ ნეიტრალიტეტს;
2. დაუშვებელია სტუდენტური თვითმმართველობის მიერ:
 - ა) პოლიტიკური პარტიებისა და მათი ლიდერების მიერ ორგანიზებულ აქცია-ღონისძიებებსა და პიარ-კამპანიებში მონაწილეობა;
 - ბ) პოლიტიკური პარტიისაგან პირდაპირ ან ირიბად ნებისმიერი სახის მატერიალური სარგებლის მიღება.
 - გ) პოლიტიკური პარტიის სასარგებლოდ პირდაპირ ან ირიბად ნებისმიერი სახის მატერიალური ან არამატერიალური სიკეთის გამოყენება.
 - დ) ნებისმიერი პოლიტიკური პარტიისა და მისი ლიდერის მხარდასაჭერი განცხადების გაცემა;

თავი III

სტუდენტური თვითმმართველობის წევრის უფლება-მოვალეობები

მუხლი 6.

1. სტუდენტური თვითმმართველობის წევრი არის პირი, რომელიც სარგებლობს სტუდენტის სტატუსით და არჩეულია დელეგატად სტუდენტური თვითმმართველობის საარჩევნო დებულების შესაბამისი პროცედურების დაცვით;
2. სტუდენტური თვითმმართველობის წევრი ვალდებულია:
 - ა) ხელი შეუწყოს და დაიცვას სტუდენტის უფლებები და ინტერესები;
 - ბ) დაეხმაროს სტუდენტებსა და ცალკეულ სტუდენტურ საინიციატივო ჯგუფებს საუნივერსიტეტო პროექტების განხორციელებაში;
 - გ) საუნივერსიტეტო საკითხებზე გადაწყვეტილების მომზადების, განხილვისა და მიღების დროს გაითვალისწინოს საერთო სტუდენტური ინტერესები;
 - დ) პატივი სცეს უნივერსიტეტის აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს, სხვა სტუდენტებს და მათთან ურთიერთობისას დაიცვას საყოველთაოდ აღიარებული ზნეობრივი ნორმები;
 - ე) გაითვალისწინოს და დაიცვას იმ სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები, რომლებიც არიან სპეციალური საჭიროებების მქონე პირები, უცხო ქვეყნის მოქალაქეები ან

საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირები და უზრუნველყოს საუნივერსიტეტო სივრცეში ამ პირთა სრული ინტეგრაცია.

3. სტუდენტური თვითმმართველობის წევრისათვის აკრძალულია:

ა) სასწავლო პროცესის მიმდინარეობისათვის ხელის შეშლა;

ბ) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ალკოჰოლური სასმელების შეტანა, გავრცელება ან/და გამოყენება, გარდა სადღესასწაულო ღონისძიებებისა;

გ) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ცეცხლსასროლი ან/და ცივი იარაღის შემოტანა ან/და გამოყენება;

დ) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ნარკოტიკული ან/და ფსიქოტროპული საშუალებების შეტანა, გავრცელება ან/და გამოყენება;

ე) თამბაქოს მოწევა უნივერსიტეტის შენობაში;

ვ) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე აზარტული თამაშების ორგანიზება და მათში მონაწილეობა;

ზ) ფიზიკური ან სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება სტუდენტებისათვის, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წარმომადგენლებისათვის;

თ) მისი სტატუსიდან, როგორც თვითმმართველობის წევრის, გამომდინარე ამ კოდექსის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული ქმედება;

ი) ნებისმიერი სხვა ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება ამ კოდექსს, სტუდენტური თვითმმართველობის დებულებას, უნივერსიტეტის წესდებასა და საქართველოს კანონმდებლობას;

მუხლი 7.

სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოები პასუხისმგებლები არიან იმ პირთა ეთიკურ ქცევაზე, რომლებიც მოქმედებენ სტუდენტური თვითმმართველობის სახელით ან მათი დავალებით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მართვის ორგანოებმა მიიღეს ყველა გონივრული ზომა იმისთვის, რომ ამ პირების ქცევა შესაბამისობაში ყოფილიყო ამ კოდექსის მოთხოვნებთან.

თავი IV

ეთიკის კოდექსის აღსრულებისა და პასუხისმგებლობის მექანიზმები

მუხლი 8.

სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოები ზედამხედველობას უწევენ ეთიკის კოდექსის შესრულებას, რაც გულისხმობს:

ა) ეთიკის კოდექსის დაცვას;

ბ) სტუდენტური თვითმმართველობის წევრების, სტუდენტებისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციისათვის მის გაცნობას.

გ) უნივერსიტეტის ან სტუდენტური თვითმმართველობის ვებ-გვერდზე საჯარო გამოქვეყნებას;

დ) საჭიროების შემთხვევაში თვითმმართველობის დებულებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანას;

მუხლი 9.

1. ეთიკის კოდექსის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ სტუდენტური თვითმმართველობის წევრებზე;

2. სტუდენტური თვითმმართველობის წევრი იზიარებს და იცავს ამ კოდექსით გათვალისწინებულ ღირებულებებსა და დადგენილ წესებს;

3. სტუდენტური თვითმმართველობის წევრი აღიარებს სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოების უფლებამოსილებას, ეთიკის კოდექსის დარღვევის შემთხვევაში, განიხილოს მისი დისციპლინარული პასუხისმგებლობის საკითხი და ამასთან, იღებს ვალდებულებას, შეასრულოს ამ საკითხთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება.

თავი V

გარდამავალი დებულებები

მუხლი 10.

კომისიის წევრები იღებენ ვალდებულებას ეთიკის კოდექსის მიღებიდან ერთი თვის ვადაში გამოიყენონ მათ ხელთ არსებული ყველა საშუალება თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში უმაღლეს სასწავლებლებში ეთიკის კოდექსის ასამოქმედებლად.